სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 51

ქ. თბილისი

9 აგვისტო 2018 წელი

შემსყიდველი: საჯარო სამართლის იურიდიული პირი კიბერუსაფრთხოების ბიუროს (შემდგომში „შემსყიდველი"), დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი ბესტავაშვილის სახით. მისამართი: ქ. თბილისი, ც. დადიანის №30. საიდენტიფიკაციო კოდი: 200280622;

მიმწოდებელი: შპს „ჯი-თი-ვი"-ს (შემდგომში „მიმწოდებელი") დირექტორის არმენ ამბარცუმოვის სახით. იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ვაზისუბანი IV მ-ნი, II კვ. კ.10 ბ.72. ფაქტიური მისამართი: ქ. თბილისი, კეკელიძის N1. სს. „პროკრედიტ ბანკი", ბანკის კოდი MIBGGE22, ანგარიშის ნომერი GE85PC0113600100028120. ს/კ 206050066.

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-2 მუხლის „ა" პუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში – ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით, CPV39831400 - თვრამეტი ერთეული ეკრანის საწმენდი სითხეს (CLN Optimaseries, 200 ml+microfibre DEFENDER) შესყიდვა.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 99.00 (ოთხმოცდაცხრამეტი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის და კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაციის საფუძველზე.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, კეკელიძის N1.

4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება შემსყიდველის მოთხოვნიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი და მიღება-ჩაბარების წესი

5.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს სსიპ - კიბერუსაფრთხოების ბიუროს ადმინისტრაციული სამმართველოს საფინანსო - სამეურნეო განყოფილების უფროსი სპეციალისტი მიხეილ ბიწაძე, რომელსაც შეუძლია ინსპექტირება განახორციელოს ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიღებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიღებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 4.2 პუნქტში.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

7.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა

9.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2018 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

12. დასკვნითი დებულებები

12. 1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ერთი ეგზემპლარი ინახება ,,მიმწოდებელთან", ერთი ,,შემსყიდველთან".

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ - კიბერუსაფრთხოების ბიურო	შპს „ჯი-თი-ვი"
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი	დირექტორი
გიორგი ბესტავაშვილი	არმენ ამბარცუმოვი

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი

9 აგვისტო 2018 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ 2018 წლის 9 აგვისტოს ხელშეკრულება N51 ფარგლებში, ჩვენი მონაწილეობა შპს „ჯი-თი-ვი“-სთან არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

სსიპ - კიბერუსაფღთხოების ბიუროს:

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი — გიორგი ბესტავაშვილი

ადმინისტრაციული სამმართველოს ორგანიზაციული უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი — ნათია მელელაშვილი

ადმინისტრაციული სამმართველოს საფინანსო-სამეურნეო განყოფილების უუფროსი სპეციალისტი — მიხეილ ბიწაძე

ადმინისტრაციული სამმართველოს საფინანსო-სამეურნეო განყოფილების შესყიდვების მენეჯერი — ნათია მუკბანიანი